საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

# სამეცნიერო დაწესებულებებში მეცნიერული კვლევებისა და დამუშავებების გამოკვლევა 2019



23.10.2020
www.geostat.ge

# სამეცნიერო დაწესებულებებში მეცნიერული კვლევებისა და დამუშავებების გამოკვლევა

(2019 წელი)

2019 წელს, საქართველოში მეცნიერულ კვლევებს ახორციელებდა 48 დაწესებულება, რომელთა მიერ წლის განმავლობაში შესრულებული სამუშაოების ჯამურმა მოცულობამ 140.2 მილიონი ლარი შეადგინა.

კვლევებსა და დამუშავებებზე დასაქმებულთა რიცხოვნობამ 13 732 შეადგინა, რომელთაგან 10 191 ერთეულს წარმოადგენდნენ მკვლევარები. მკვლევარების 52.4 პროცენტი ქალია, ხოლო 47.6 პროცენტი კაცი.

მკვლევართა 71.4 პროცენტი არის დოქტორი ან მასთან გათანაბრებული განათლებით, 26.7 პროცენტი - მაგისტრი ან მასთან გათანაბრებული განათლებით, 1.8 პროცენტი ბაკალავრი ან მასთან გათანაბრებული განათლებით.

ქვემოთ მოცემულ დიაგრამაზე წარმოდგენილია მკვლევარების განაწილება განათლების დონისა და სქესის მიხედვით.

დიაგრამა №1

## მკვლევარების განაწილება განათლების დონის და სქესის მიხედვით



რაც შეეხება მკვლევარების განაწილებას ასაკის მიხედვით, როგორც ქალებში, ასევე მამაკაცებში ყველაზე მაღალი მაჩვენებელი მოდის 65 წლის და უფროს ასაკობრივ ჯგუფზე.

ქვემოთ მოცემულ დიაგრამაზე წარმოდგენილია მკვლევარების განაწილება ასაკისა და სქესის მიხედვით.

დიაგრამა №2

**მკვლევარების განაწილება ასაკის და სქესის მიხედვით**




მკვლევარების ყველაზე დიდი ნაწილი საბუნებისმეტყველო მეცნიერებების მიმართულებით მუშაობენ, რომელთა საერთო რიცხოვნობა 2 398 ერთეულს შეადგენს. ხოლო ყველაზე მცირე ნაწილი სოფლის მეურნეობისა და ვეტერინარიის მიმართულებაზე მოდის, სადაც 442 კაცია დასაქმებული.

ქვემოთ მოცემულ დიაგრამაზე წარმოდგენილია მკვლევარების განაწილება სამეცნიერო სფეროების მიხედვით.

დიაგრამა №3

## მკვლევარების განაწილება სამეცნიერო სფეროების მიხედვით




**საკონტაქტო პირები:**

ვასილ წაქაძე, ტელ.: (+995 32) 236 72 10 (600). E-mail: vtsakadze@geostat.ge

მარიამ ყაველაშვილი, ტელ.: (+995 32) 236 72 10 (020). E-mail: mkavelasvili@geostat.ge